

2017 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო დავინჩი"-ს შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული, გრანპრის მფლობელი პროექტის სამი ავტორის 3 კვირიანი სასწავლო-შემეცნებითი ტურის შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება და გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი

№	დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მონაცემების სრული აღწერა	რაოდენობა
1	ვიზა	საჭიროების შემთხვევაში ვიზის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების გატარება, სავიზო გადასახადის ჩათვლით	3 მოსწავლე
2	ავიაბილეთი	ავიაბილეთები უნდა მოიცავდეს როგორც ხელბარგს 8 კგ-ს, ასევე უნდა მოიცავდეს ბარგს არანაკლებ 20 კგ-სა. საჭირო მგზავრობის პერიოდში დასაშვებია მხოლოდ ერთი გადაჯდომა.	3 მოსწავლე
3	სწავლა ინგლისურენოვან ქვეყანაში	გრანპრის მფლობელი პროექტის ავტორები (სამი მოსწავლე) გაემგზავრებიან 3 კვირიანი სასწავლო-შემეცნებით ტურით ვეროპის ინგლისურენოვან ქვეყანაში საერთაშორისო, პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებაში. სასწავლო კურსი მოსწავლეებისთვის შერჩეული უნდა იქნას მათი ცოდნის შესაბამისად. 3 კვირიანი მოკლევადიანი სასწავლო კურსი უნდა მოიცავდეს ენის შესწავლის სხვადასხვა ასპექტს - გრამატიკას, ლექსიკას და სწორად წარმოთქმას, ამასთან მოსმენას, კითხვას, წერას და საუბარს.	3 მოსწავლე
4	სწავლის პერიოდში ცხოვრება და კვება	სწავლის პერიოდში გამარჯვებული მოსწავლეები უზრუნველყოფილები უნდა იყვნენ საცხოვრებლით. მისაღება რეგორც სკოლის საერთო საცხოვრებელი, ასევე მინიმუმ 3 ვარსკვლავიანი სასტუმრო. მოსწავლეები უნდა განთავსდნენ მაქსიმუმ ორ ადგილიან ოთახებში (სასურველია ინდივიდუალური საცხოვრებელი ოთახი). ასევე ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სამაჯერადი კვებით. უცხოეთში ყოფნის პერიოდში მოსწავლეები უნდა იყვნენ ზრდასრული ადამიანის, მიმწოდებელი კომპანიის ზრდასრული თანამშრომლის მეთვალყურეობის ქვეშ.	3 მოსწავლე
5	სწავლის პერიოდში შემეცნებითი ტურები, ექსკურსიები	სასწავლო პერიოდში მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ექსკურსია/შემეცნებითი ტურები. რომლის განმავლობაშიც უნდა მოინახულონ მინიმუმ 1 მუზეუმი, 1 ღირშესანიშნაობა და 1 გასართობი ცენტრი. ექსკურსი/შემეცნებითი ტურებისას მოსწავლეებს მეთვალყურეობას უზრუნველყოფს კომპანიის ზრდასრული თანამშრომელი.	3 მოსწავლე
6	ტრანსფერი და გაცილება	მოსწავლეების მგზავრობა (ჩასვლა და გამოგზავრება), ასევე ქვეყნის შიგნით მგზავრობა, უნდა იქნას უზრუნველყოფილი ტრანსპორტით. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან გაფრენის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს თბილისიდან მოსწავლეების ტრანსპორტირება (გაცილება/დახვედრა). მგზავრობის პერიოდში მოსწავლეებს მეთვალყურეობას გაუწევს მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომელი.	3 მოსწავლე

